დამტკიცებულია შპს თაობის

დირექტორის მიერ

05.09.2025 წ. №01-04/21 ბრძანებით

შპს თაობა

კლუბი “Gaia's Lab”

დებულება

ბათუმი, 2025

კლუბი Gaia's Lab დებულება

მუხლი 1. შესავალი

სასკოლო კლუბი ''Gaia's Lab'' წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შპს „თაობას'' (შემდგომში სკოლა) მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის (მოსწავლეთა თვითმმართველობითი ორგანო), სტრუქტურულ ერთეულს, რომლის ფუნქციონირება მოსწავლეთა მზაობის, საჭიროებების, ინტერესების, სასკოლო საზოგადოების/თემის მოლოდინების, სკოლის რესურსების და გამოწვევების გათვალისწინებით, ემსახურება სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებას და მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას. თანამონაწილეობისა და თანასწორობის პრინციპზე დაფუძნებული სასკოლო ცხოვრების ორგანიზებას.

კლუბი ''ორფეოსი''-ს საქმიანობა განიხილება მნიშვნელოვან საშუალებად:

- მოსწავლეთა შინაგანი ძალების გასააქტიურებლად - აზრიანი, ღირებული საინტერესო შინაარსის და მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზებით, რომელიც მოსწავლეების ცნობისმოყვარეობას, შემეცნებით მოთხოვნილებას პასუხობს, რაც მოსწავლეს განაწყობს სათანადო ძალების ზრდა-განვითარებისთვის საჭირო მიზანიმიმართული ქცევების განსახორციელებლად.
- მოსწავლეებში ფუნქციური ცოდნის შესაძენად - აქტუალური და რელევანტური შინაარსის, პრაქტიკული და კრეატიული აქტივობების შეთავაზებით, რომელიც მოსწავლეებს მისცემს შესაძლებლობას ცნებების შინაარსი დღეს არსებულ ცხოვრებასთან დააკავშირონ, რაც ცოდნის მრავალფეროვან საკითხებში გადატანისა და ფუნქციურად გამოყენების საშუალებას იძლევა.
- სასკოლო კულტურის განსავითარებლად/მოსწავლეთა ერთიან გუნდად ჩამოსაყალიბებლად - მოსწავლეთა ინტერესების, ღირებულებების, საჭიროებების შესწავლით და შესაბამისი ამოცანების, გამოწვევების გუნდურად გადაჭრით.

მუხლი 2. მიზანი

სასკოლო კლუბი კლუბი ''Gaia's Lab'' მიზანია ხელი შეუწყოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ცოდნის გაღრმავებას/ცნებების შინაარსის გააზრებას და მოსწავლეებში კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ნებელობის შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარების გააქტიურებას.

მუხლი 3. ამოცანები

მიზნის მისაღწევად სასკოლო კლუბი ''ორფეოსის'' ამოცანებია:

- აქტუალური, რელევანტური, ღირებული შინაარსის/კონტექსტების უზრუნველყოფა;
- მრავალფეროვანი, ინტერაქტიური პრაქტიკული და კრეატიული აქტივობების უზრუნველყოფა;
- თავისუფალი, კეთილგანწყობილი დისკრიმინაციისაგან დაცული გარემოს/სივრცის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა ინტერესებზე, საჭიროებებზე მონაცემების მოგროვების და ანალიზის უზრუნველყოფა;
- სკოლის სხვა კლუბებთან/გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

მუხლი 4. პრინციპები

სასკოლო კლუბი კლუბი ''Gaia's Lab'' საქმიანობა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- თანასწორობის დაცვა - რაც გულისხმობს სკოლის ყველა მოსწავლის მონაწილეობის, ჩართულობის, განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფას.
- გუნდური მუშაობა - რაც გულისხმობს თანაშემოქმედებითობის განცდის გაძლიერებას და ხელშეწყობას.

მუხლი 4. სტრუქტურა

სასკოლო კლუბი ''Gaia's Lab'' ხელმძღვანელობს კლუბის შექმნის ინიციატორი, რომელიც პასუხისმგებელია კლუბის ფუნქციონირებაზე. კლუბის ფუნქციონირებას მეთვალყურეობას უწევს მოსწავლეთა საკოორდინაციო საბჭო და საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი.

კლუბის წევრები არიან მოსწავლეები საბაზო და საშუალო საფეხურიდან (მინიმუმ 5 წევრი).

კლუბს აქვს კლუბში გაწევრიანების მსურველთა განცხადების ფორმა, რომელშიც მსურველი მოსწავლე ხსნის თუ რატომ სურს კლუბში გაწევრიანება.

კლუბის ხელმძღვანელი კლუბის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ განიხილავს განაცხადს და 5 კალენდარული დღის განმავლობაში უკავშირდება მსურველს ინტერვიუს ან შემდგომი დეტალებისთვის.

კლუბის წევრობა მოიცავს პასუხისმგებლობას დადგენილი წესების დაცვასა და აქტიურ მონაწილეობაზე. კლუბში გაწევრიანება ნებაყოფლობითია. კლუბის წევრი ვალდებულია დაესწროს კლუბის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და მონაწილეობა მიიღოს დაგეგმილ აქტივობებში.

კლუბის წევრობის შეწყვეტა შესაძლებელია პირადი განცხადების საფუძველზე ან კლუბის წესების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ მოსწავლეს წევრობა შეუწყდება თუ: სისტემატიურად არ მონაწილეობს კლუბის მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში; არ იზიარებს და ითვალისწინებს კლუბის პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

მუხლი 5. აქტივობების ორგანიზება

სასკოლო კლუბი ''Gaia's Lab'' საქმიანობა ციკლურია, რომელიც შემდეგი ეტაპებისაგან შედგება - აქტივობის დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება.

სასკოლო კლუბი ''Gaia's Lab''საინტერესო კონტექსტების შეთავაზებით გეგმავს და ახორციელებს აქტივობებს რომელიც მიემართება - ბიომრავალფეროვნების, ცოცხალი სისტემების და ნივთიერებების სტრუქტურის და ფუნქციის, სასიცოცხლო თვისებების, ჯანმრთელობისა და დაავადების, ფიზიკური და ქიმიური პროცესების, ენერგიის, ძალის და მატერიის, მდგრადი წარმოების და მოხმარების არსის გააზრებას. როგორც შემეცნებითი ასევე ემოციური და ქცევითი დამოკიდებულებების განვითარებას.

სასკოლო კლუბი ''Gaia's Lab'' მოინიშნება სკოლის სამოქმედო გეგმასა თუ პროექტებში ამოცანების შესაბამისი იმ აქტივობის პასუხისმგებელ ერთეულად, რომელიც მიემართება საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კონტექსტს.

სასკოლო კლუბი ''Gaia's Lab'' მიერ განხორციელებული აქტივობები არის პრაქტიკული, შემოქმედებითი ხასიათის, მრავალი სხვადასხვა ფორმის და რესურსის გამოყენებით, მაგალითად (შესაძლებელია სხვა ტიპის აქტივობების ორგანიზება):

- საბუნებისმეტყველო ექსპედიციები – ლაშქრობები, ბიომრავალფეროვნების შესწავლა.

- ეკო-პროექტები – ნარჩენების გადამუშავება, სკოლის ეზოს გამწვანება.
- სამეცნიერო ექსპერიმენტების ლაბორატორია – ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის პრაქტიკული ცდები.
- ღამის ცის დაკვირვება – ტელესკოპით ასტრონომიული ღამის ორგანიზება.
- „ახალი აღმოჩენების კვირეული“ – მოსწავლეთა მიერ ჩატარებული კვლევების პრეზენტაციები.
- მეცნიერული შოუ – ფიზიკური და ქიმიური ექსპერიმენტების სანახაობრივი ჩვენება.
- მუზეუმებისა და კვლევითი ინსტიტუტების ვიზიტი
- საბუნებისმეტყველო საკითხებზე, მეცნიერებაზე ფილმის ჩვენება და დისკუსია.
- საბუნებისმეტყველო ოლიმპიადების/ტურნირების ორგანიზება –ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია.
- გლობალური გამოწვევების დისკუსია – კლიმატის ცვლილება, ენერგიის მდგრადი წყაროები
- საბუნებისმეტყველო თემებზე კონფერენციების, ღონისძიებების ორგანიზება.
- საბუნებისმეტყველო თემებზე დებატების, პანელური დისკუსიების ჩატარება.
- Podcast-ების, ვიდეოების, ბლოგების/ვლოგების და სხვა კონტენტის შექმნა.
- სხვადასხვა პროდუქტების შექმნაზე მუშაობა (სამაგიდო თამაშები, კომიქსები, ჟურნალი....)

კლუბის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების მონაწილეობას, ჩართულობას.

დაგეგმილი აქტივობების განხორციელების მონიტორინგის და ანალიზს/შეფასებას ახდენს კლუბის ხელმძღვანელი და საკოორდინაციო საბჭო. აქტივობების შედეგები აისახება მოსწავლეთა განვითარების პლატფორმის ანგარიშში. შედეგად გამოიკვეთება/მოინიშნება ახალ სასწავლო წელს განსახორციელებელი აქტივობების რაკურსი.

მუხლი 6. კლუბის ფინანსები

კლუბის საქმიანობა ფინანსდება სკოლის ბიუჯეტიდან ან/და მონაწილეთა/მსურველთა შემოწირულობებით.
ყველა ფინანსური საკითხი გამჭვირვალეა, ნაწილდება კლუბის წევრების შეთანხმებისამებრ და კონტროლდება კლუბის ხელმძღვანელის მიერ.

მუხლი 7. გარდამავალი დებულება

სასკოლო კლუბი ''Gaia's Lab'' დებულებას ამტკიცებს სკოლის დირექტორი. დებულებაში ცვლილების შეტანა ხდება სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით.